№ 666 პარასკევი, 30 ოქტომბერი. 1896—1898 186 პარასკევი, 30 ოქტომბერი № 666

სტამბა და რედაქცია ტფილისი, სასახლის ქ., სათ.-აზნაურო ქარვასლა.

ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიმართავენ რედაქციას დილის 10—3 საათამდე და საღამოს 6—7 და „წ. კ. საზ.“ წიგნის მაღაზიას.

ხელ-მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.

პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.

ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა

გაზეთის ფასი ერთის წლით 6 მან., ერთის თვით 60 კაპ.

ცალი ნომერი 3 კაპიკი

ფასი განცხადებისა ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція „Цнобисъ Пурцели“ Тифлисъ, Дворцовая ул. д. Дворянства. Телефонъ № 363


## წიგნის მაღაზია
### მიხეილ გაჩეჩილაძისა

(იგივე „გლეხის“ ამხანაგობისა)

ვაუწყებთ პატივცემულ საზოგადოებას, რომ ჩვენ გავხსენით **დ. ყვირილაში**, ჩუბინიძის სახლში

წიგნებისა და საკანცელარიო ნივთეულობის მაღაზია

მაღაზიაში გვაქვს ყოველგვარი ქართული გამოცემანი და სახელმძღვანელოები. ვკისრულობთ აგრეთვე სხვა-და-სხვა წიგნების გამოწერას. ვიღებთ წიგნებს საკომისიოდ გასაყიდათ და აგრეთვე ვაძლევთ ჩვენც ჩვენს გამოცემებს.

მაღაზიასთან გახსნილი გვაქვს **წიგნების საკაზმავი სახელოსნო**, სადაც მზადდება წიგნები სუფთად, იაფად და სწრაფად.

სოფლის მასწავლებლებს სახელმძღვანელო წიგნები, რვეულები და სხ. დაეთმობათ ძლიერ დაკლებულ ფასად.

მსურველს შეუძლიანთ მიმართონ შემდეგის ადრესით:

Квирилы. Книжный магазинъ М. Гачечиладзе. (15—14)




ღვინის სარდაფი

## „იყალთო“

თ. გიორგი და ლუარსაბ მაყაშვილებისა

გოლოვინის პროსპექტი, ანტონოვის სახლი, სასტ. „როსსიას“ ქვეშ, ახალი თეატრის გვერდზე.

ამით აუწყებს საზოგადოებას, რომ ჩვენ გავლენით საკუთარი მოსავლის ღვინის სარდაფი

## „იყალთო“

ბოთლი 20 კაპ. ვიდრე 1 მანათამდე, ვედროთი ფასი დაკლებულია.

**Винный складъ**
Князей Г. и Л. Макаевыхъ
подъ фирмой
## „ИКАЛТО“
Тифлисъ, Головинскій проспектъ, д. Антонова, подъ гост. «Россія» (75—38)

## ექიმი
### კ. ი. გძელიშვილი

მიიღებს

ყელისა, ცხვირისა და ყურით ავადმყოფებს.

დილ. 9—11 ს. საღამოზე 5—7 ს.

მიხეილის ქუჩა, ნემეცების ეკკლესიის პირდაპირ.

Докторъ **К. И. Гдзелишвили.**
Михайловская, противъ кирки. (100—55)

დოქტორი მედიცინისა და ქირურგი
## ბენკლევსკი

ავადმყოფებს ღებულობს დილის 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

გრიბოედოვის ქუჩა, არშაკუნისეული სახლი № 30.

**Докторъ медицины и хирургъ**
## БЕНКЛЕВСКІЙ
Грибоѣдовская № 30, д. бывш. Аршакуни. (წ.)


ჩვენი „კრებული“ მეორე წელიწადში გადადგა. ამ მეორე წლის პირველი ნომერი ენკენისთვეში უნდა გამოსულიყო, მაგრამ ჩვენის ჟურნალისვე სასიკეთოდ განზრახ შევაჩერეთ გამოცემა რამოდენიმე თვით და მხოლოდ იანვრიდან განვაგრძებთ გამოცემას და წელიწადიც მომავალი 1899 წ. იანვრიდან დაიწყება. დღემდი ჩვენ უფლება არა გვქონდა, რომ, გარდა ყოველგვარ ჩვენი ნაწერისა, სხვების რამე დაგვებეჭდა ჩვენს „კრებულში“, დღეს-კი ნება გვაქვს, რომ სხვებისაც ვბეჭდოთ ხოლმე და უკეთესმა ჩვენმა მწერლებთაგანმა კიდეც აღგვითქვეს დახმარება. ფასი იგივე დარჩება: გაგზავნით ფოსტით—**7** მ., ადგილობრივ გაუგზავნელად—**6** მ., ნახევარის წლით **4** მ, თვიურად და კერძო ნომერი—60 კ.

რედაქცია გადატანილ იქმნება დაბა ყვირილაში (ზესტაფონში) ლამბაშიძის სახლებში.

კერძო განცხადება ყოველ საგანზე მიიღება ჩვეულებრივზე იაფად და განცხადების ფულის გადახდაც შეიძლება ნაწილ-ნაწილ.

დასასრულ მადლობას ვუძღვნი მათ, ვინც წარსულ წელში გვეხმარებოდა და იმედია, რომ არც მომავალში მოგვაკლებენ თანაგრძნობას.

მომავალი წლის ხელის-მოწერა უკვე დაწყებულია. ადრესი გამომწერლებისათვის: დაბა ყვირილა, „კრებულის“ რედაქცია. М. Квирилы. Редакція «Кребули» და თბილისში წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში.

«კრებულის» რედაქტორი და გამომცემელი
(10—2) **აკაკი**


გიმნაზიაში სწავლა დამთავრებული

## ქართველი ქალი

იაფად ამზადებს ორისავე სქესის ბავშვებს ყოველგვარ საშუალო სასწავლებლების დაბალ კლასებში შესასვლელად.

იკითხონ „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ს. უ.

Окончившая гимназію

## ГОТОВИТЪ

**за умѣренную** плату дѣтей обоего пола въ младшіе классы всѣхъ среднеучебныхъ заведеній.

*Спросить въ редакціи «Цнобисъ Пурцели».* (10—8)

## ექიმი
### კ. მ. ჩიქოვანი

ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილის 11—12-მდე და საღამოს 7—8 საათ.

მიხეილის ქუჩა, № 16.

Докторъ **К. М. Чиковани**
Михайлов., № 16.

სამკურნალო და ამბულატორია

## ს. ბ. თოფურიასი

ქუთაისში.

სამკურნალოში **50** საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი,

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს **ს. ბ. თოფურია.** საქირურგო ავადმყოფობას და სიფილისს **ფ. კ. გერრატი.**

დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი **მ. თ. კოგანი.**

20 მაისიდამ—დედათა ავადმყოფობის და აკუშერობის D-r **ф. ბაცევიჩი.**

თვალების ავადმყოფობას—**ი. კ. ვარშავსკი.**

ამბულატორიაში არის კაბინეტია საექიმო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და საქისთვის.

სამკურნალო დირექტორი **ს. ბ. თოფურია.**

*Лѣчебница С. В. Топурія* въ Кутаисѣ.


## ახალი ამბავი

*** **ფოთის ქალაქის არჩევნები.** 27 ოქტომბერს ფოთის ქალაქის საბჭოში მოხდა მოსამსახურე პირთა არჩევნები. ერთხმად არჩეულ იქმნენ: ქალაქის მოურავად ბ. ნიკოლაძე, გამგეობის წევრად—ბ. ყრუაშვილი.

*** **ქართული ანბანის წარმოშობა.** ვენაში გამოვიდა ამას წინად გარდაცვალებულის ცნობილი ფილოლოგის ფრ. მიულერის თხზულება: „ქართული ანბანის წარმოშობა“, რომელიც ხსენებულ მეც-

ნიერს სიცოცხლეში არ გამოუქვეყნებია.

*** **ახალი დანიშნულება.** გადაყვანილ იქმნენ მომრიგებელ-მოსამართლეთა თანაშემწენი: ზუგდიდის განყოფილებისა—ოსოვსკი და ახალბაიაზეთისა სოხანსკი, პირველი ბათომის, ხოლო მეორე ზუგდიდის მომრიგებელ განყოფილების თანაშემწეებად.

*** **მუშათა ყოფა-მდგომარეობის გაუმჯობესება.** ამ ჟამად აღძრულია კითხვა იმის შესახებ, რომ შემუშავებულ იქმნეს სავალდებულო წესები მუშათა ინტერესების დასაცველად. სხვათა შორის საჭიროდ სცნობენ რამოდენიმედ გაადიდონ მუშების სადგომები, გააძლიერონ ცეცხლის საწინაალმდეგო და აგრეთვე მუშათაგან უბედურ შემთხვევების ასაშორებელი ზომები. ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიუქცევიათ მუშების სადგომებში სასტიკ ჰიგიენურ პირობების დაცვისათვის. („სინ ოტ.“)

*** **ცხენის რკინის გზის საქმე.** გუშინ, ხელი მოაწერეს ქალაქმა და უსახელო საზოგადოებამ ხელშეკრულობაზე.

ამ ხელშეკრულობის ძალით უსახელო საზოგადოება ვალდებულია გაიყვანოს შემდეგი ახალი შტოები: 1) დიდუბისა—მიხეილის ქუჩიდან დაწყებული დიდუბის ეკკლესიამდე. ეს შტო მუშტაიდზედ გაივლის, ხოლო თუ მუშტაიდზე ნება არ დართეს, მაშინ ელისაბედის ქუჩაზე; 2, შუა ბაზრისა—ერევნის მოედნიდან სიონის ქუჩაზე ავლაბრის ხიდამდე, სადაც ორთა-ჭალის შტოს შეუერთდება; 3) ავლაბრისა—თათრის მოედნიდგან სირაჩხანასა. კახეთის მოედანსა და კახეთის ქუჩაზე გოგილოს აბანომდე; 4, ნავთლუხისა—ავლაბრის ბოლოდან ნავთლუხის საყასპომდე; 5, ეს შტო რკინის გზის სადგურიდან დაიწყობა „ბულვარისა, ელისაბედისა, „სალოვოის“ და მიხეილის ქუჩებზე გაივლის და ვერის შტოს შეუერთდება; 6, სოლოლაკისა—ერევნის მოედნიდგან სოლოლაკისა, ძველ-ინსტიტუტისა, ამაღლების ქუჩებზე წყლის არხის ხიდამდე; 7, ვარდისუბნისა—ოლგას ქუჩიდან წყნეთის ქუჩაზე საუფლისწულო უწყების სარდაფამდე და 8, ორთაჭალის შტო გაგრძელებული იქმნება თაიროვისა და ალიხანოვის ქარხანამდე.

ელექტრონის ძალა ცხენის რკინის გზის აწ არსებულ შტოებზედ უნდა შემოღებულ იქმნას ორის წლის შემდეგ, ხოლო ახალს შტოებზე—სამის წლის შემდეგ.

ყველა შტოებზე მატარებლებმა უნდა იარონ: პირველ აპრილიდან პირველ მაისამდე—დილის $6\frac{1}{2}$ საათიდან საღამოს $11\frac{1}{2}$ საათამდე; 1 მაისიდან 15 სექტემბრამდე დილის $6\frac{1}{2}$ იაათიდან საღამოს 12 საათამდე; 15 სექტემბრიდან 1 ოქტომბრამდე—დილის $6\frac{1}{2}$-დან საღამოს $11\frac{1}{2}$ საათამდე და 1 ოქტომბრიდან 1 აპრილამდე—დილის 7 საათიდაე საღამოს 11 საათამდე.

ამასთან უსახელო საზოგადოებას ნება აქვს გამოსაცდელად სამის წლის განმავლობაში საქონლის ვაგონებიც აწარმოვოს, იმ პირობით კი, რომ ქალაქის გამგეობამ უნდა აღნიშნოს ის ადგილები, სად უნდა დაიტვირთნენ და დაიცალნენ ვაგონები.

რაც შეეხება გადასახადს ქალაქის სასარგებლოდ, უკანასკნელი წინადადება რობისა შეუცვლელად დარჩა. როგორც მკითხველებს უთუოდ ეხსომებათ, ამ წინადადების შინაარსი უკვე დაბეჭდილი გვქონდა.

*** **ახალი წიგნი კათოლიკეთა შესახებ.** ჩვენ გვთხოვენ გამოვაცხადოთ შემდეგი: ბ. ზ. ჭიჭინაძეს შეუკრებია მასალები და დაუწერია წერილი შესახებ ქართველთ კათოლიკეთა ეპისკოპოზებთა კათედრების შესახებ. ამ აღწერაში ვრცელი ადგილი უჭირავს ეპისკოპოზის პ. შაჰყულიანცის (ჯინაშვილი) ცხოვრების და მოქმედების აღწერას, რომელ ეპისკოპოსაც პ. იოსელიანი თავის ლათინური ენის მასწავლებლათ ამ ეპისკოპოზს აღიარებს, აღწერილია ამის მწიგნობრული მოღვაწეობაც.

დიდი ადგილი უჭირავს აგრეთვე ჯულარიანის ამბებს, პატრი ფილიპესი და რუსთან 1829 წ. ახალციხის აღებას, მასთანვე დიდ განხეთქილებას ლათინისა და სომეხთ ტიბიკონზე გლეხთ ქართველთ მოძლვრებისას, რომელთა ბჭობის მეოხებითაც ქართველ კათოლიკენი თავიანთის გვარტომობით უარყოფილ იქნენ და „არმიანე კათოლიკეთ“ იქმნენ ხმობილნი.

ამიტომ დამწერი ხსენებულის წერილისა მიმართავს ყველას და სთხოვს, რომ თუ ამ ხსენებულის ეპისკოპოზის შესახებ ვისმეს რამე ცნობები მოეპოვება, იმან ეს არ დაიშუროს და დროზე გამოუგზავნოს დამწერს, წერილებთა განხილვის შემდეგ ყოველისფერი ნაწერები პატრონებსვე დაუბრუნდებათ დიდის სიმდაბლით და მადლობით. ამ აღწერაშივე აღწერილია ჯავახეთის კათოლიკეთა სამღვდელოების ცნობები 1805 წ. 1836 წლებამდის.

ჯინაშვილს ამ ხანებში ისეთი ღირსება ჰქონდა და იგი ისეთ როლს თამაშობდა, რომლის ცხოვრების შესახებ თუ ვინმემ იცის რამე, იმან ეს არ უნდა დაიშუროს და აღმწერს უსათუოდ წარმოუდგინოს, თუ ეს მათვის არ იქნება საწინაალმდეგო.

*** **ბრილელ გლეხების საქმე.** იმ ოთხ ბრილელ გლეხის საკასაციო საჩივარი, რომელთაც თავდიასამიძის მოკვლის გამო პალატამ კატორღა გადაუწყვიტა, სენატმა უყურადღებოდ დასტოვა და პალატის განაჩენი დაუმტკიცებელ იქმნა.

*** **გზების საქმე კავკასიაში.** კავკასიის სამეურნეო საზოგადოება ამ ჟამად ადგენს დასაბუთებულ შუამდგომლობას კავკასიის უმაღლეს მთავრობის წინაშე წარსადგენად კავკასიაში გზების გაუმჯობესებისა, ახალი გზების გაყვანისა და სხ. შესახებ.

*** **სასოფლო საზოგადოებათა შუამდგომლობა.** ქუთაისის გუბერნიის სენაკის მაზრის სოფ. ბალდისა და სკრუდის საზოგადოებათ მიჰმართეს უწმ. სინოდს საერთო თხოვნით იმის შესახებ, რომ ეს საზოგადოებანი განთავისუფლებულ იქმნენ ს. სალხინოს სასწავლებლის შენახვისაგან, რადგან მათ არ შეუძლიანთ შეინახონ ერთსა და იმავე დროს მათს სამრევლოში 1896 წ. გახსნილი სამრევლო და სამინისტრო სკოლები.

*** **ახალი ქარხანა კავკასიაში.** როგორც ისმის ამ ჟამად ზოგიერთ ადგილობრივ კაპიტალისტებს აზრად აქვთ დააარსონ ამიერ-კავკასიაში ჩინეთის ჭინჭრის საქსოვი ქარხანა. ეს მცენარე ძალიან ძვირფასია და კავკასიაში ადვილად შენდება.

*** **ცოლის მოკვლა.** გუშინ, 29 ოქტომბერს, მეოთხე თუმანოვის ქუჩაზე, ბასილოვის სახლებში, ერთმა კაცმა მოჰკლა თავისი ცოლი. ამ დღეს, დილის 10 საათზე, რაღაცაზე ლაპარაკი მოსვლიათ ცოლქმარს, ამ დროს გაცეცხლებულ ქმარს დანა დაუცია მუცელში ცოლისთვის, რომელსაც იქვე სული განუტევებია. მკვდარი ქალის გვამი მიხეილის საავადმყოფოში წაიღეს. მკვლელმა თვით შეატყობინა თურმე პოლიციას ცოლი მოვკალიო.

*** **მოსამზადებელი კლასი სახელოსნო სასწავლებელში.** ტფილისის ქალაქის სახელოსნო სასწავლებლის დირექტორმა ბ. დანილოვმა შუამდგომლობა აღძრა ქალაქის სასწავლებლების კომიტეტის წინაშე იმის შესახებ, რომ გაიხსნას სასწავლებელში მომავალ სამოსწავლო წლიდან მოსამზადებელი კლასი.

*** **საავადმყოფო იმავე სასწავლებელში.** ქალაქის სასწავლებლის კომისიას განზრახვა აქვს დააარსოს მოსწავლეთათვის საავადმყოფო ქალაქის სახელოსნო სასწავლებელში.

*** **საჩივარი ხელოსანთა მოურავზე.** კედლის მხატვარ ხელოსანთა (მალიართა) ამქრის მამასახლისმა საჩივარი შეიტანა ტფილისის გუბერნატორთან ხელოსანთა მოურავის ბ. სერობიანცზე ამსაჩივარში მოხსენებულია, რომ მიუხედავად იმისა, რომ კანონით საამქრო არჩევანების წარმოება მინდობილი აქვს ამქრის მამასახლის, ბ. სერობიანცმა 12 ოქტომბერს არამც თუ ჩამოაშორა მამასახლისი არჩევნებს, არამედ თვითონ მოახდინა არჩევნები, პირადად და მხოლოდ იმ პირთ უყარა კენჭი, რომლების არჩევა თვითონ სურდა.

*** **მხეცური მკვლელობა.** საქონლის დასაყენებელ მოედანზე 20 ოქტომბერს ნახეს ვიღაც მკვდარი კაცი, რომელსაც მკერდში დანა ქონდა ჩარჭობილი. პოლიციის გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ მოკლული არის ოსმალეთის ქვეშევრდომი მაჰმუდ-ომარ-მოლა-ოღლი, 21 წლისა. ის მუშაობდა ქ. გორში ოსმალეთის ქვეშევრდომ მეფურნე პონოსიანცთან. უხეირო ვაჭრობის გამო მაჰმედმა ანგარიშის გაწმენდა მოითხოვა. პონოსიანცმა მისცა მას 70 მან. და დარჩა კიდევ გადასახდელი 188 მან. მაჰმუდი ჩააცივდა მას, ან ფული მომეცი, ან იმის ხელ-წერილი, რომ მოსაცემი გაქვს 188 მანეთიო. მაშინ პონოსიანცმა წინადადება მისცა მაჰმუდს, წამომყევი ტფილისში, სადაც ფული მაქვს ასაღებიო და ამ წინადადებაზე კიდეც დაიყოლია. ეს რომ გაიგეს სხვა მეფურნეებმა, ურჩიეს მაჰმუდს, არ წაჰყვე პონოსიანცს, თორემ ეგ ბოროტი კაცია და, ვინ იცის, რას შეგამთხვევსო, მაგრამ ამ რჩევას მაჰმუდმა ყური არ ათხოვა, და 19 ოქტომბერს წამოჰყვა პონოსიანცს ტფილისში. 20 ოქტომბერს დილა-ადრიანად პონოსიანცი ნახეს გორის ხიდზე. როცა მას მეფურნეებმა ჰკითხეს, ასე ადრე ტფილისიდან რატომ დაბრუნდიო, მან უპასუხა, საქონლის მატარებლით ჩამოვედი და მაჰმუდი ტფილისში დავტოვეო. გორის მაზრის უფროსმა, ტფილისიდან მიღებულ დეპეშის გამო, ორი პოლიციელი გაგზავნა პონოსიანცის შესაპყრობად, მაგრამ ეს უკანასკნელი სადღაც დაიმალა. მაჰმუდის მკერდში ჩარჭობილი დანა პონოსიანცის აღმოჩნდა.

*** **გორის ციხის შეკეთება.** როგორც ქალაქ გორიდან გვატყო-

ბინებენ, თ. ი. გ. ამილახვარს განუზრახავს გორის ციხის გამშვენიერება და საქმეს კიდეც შესდგომიან. ჯერ-ჯერობით უნდა გზები შეკეთდეს, სადაც თავისუფლად მისვლა შეეძლოს ეტლებსა და ურმებს. იქვე გალავანში გაშენებული იქნება ბაღი, სადაც თ. ამილახვარის ხარჯით წყალი იქნება გაყვანილი. 26 ოქტომბერს ციხეში გარდახდილი იყო პარაკლისი. ყოველივე შრომა და საქმის წარმოება კნ. ა. ა. ამილახვარისამ იკისრა.

*** **ყაჩაღების ბრბო.** სოფ. კესალოს (ტფ. მაზ.) მცხოვრებლები მუსა-ახმად-ოღლი, შახნაზარ-შახნაზარ-ოღლი, ალი-ვალი-ოღლი და რამოდენიმე ამათი მეზობლები დატვირთულ ურმებით მიდენილან. როგორც კი მოახლოვდნენ რკინის გზის სადგურს კასატაპას, უცებ ექვსი შეიარაღებული თათრები დაეცნენ, დაუწყეს თოფებით სროლა, მეურმეები შეშინდნენ და გაიქცნენ. ყაჩაღებმა ისარგებლეს მეურმეების გაქცევით და ურმებიდან გაიტაცეს სხვა და სხვა ავეჯეულობა და ნივთები, სულ ღირებული 400 მ., მაშინვე ბოქაულს აცნობეს, რომელმაც აღმოაჩინა, რომ გამძარცვავები კასატაპას მემცხვარეები და ალა-ტალლაი ყოფილიყვნენ. ორი მათგანი შეიპყრეს, მხოლოდ დანარჩენების შესაპყრობად ზომებია მიღებული,

*** **ს. მეტეხი** (ქართლი). **დედის შეუბრალებლობა.** ს, მეტეხში არის ერთი ავადმყოფი მოხუცებული დედაკაცი, რომელიც ეს ოთხი წელიწადი იქნება პირში ნერწყვს ველარ იმაგრებს და მოუწყვეტლივ ჩამოსდის. ეს მოხუცებული ავადმყოფი ზამთარ-ზაფხულ გარეთ კედლის გვერდზე წევს, ხან მშიერია, ხან მაძღარი. თუ მეზობლებმა მას მიაწოდეს რამე საჭმელი, ავადმყოფის პატრონები, შვილი და რძალი, ერთ ყოფას დაუწევენ მეზობლებს და ეტყვიან: ნურაფერს აჭმევთ, თორემ მაგით ირყვნებაო. არ იქნება ურიგო, რომ ამ გარემოებას ჯეროვან ყურადღებას მიაქცევდეს.

ალექსი მირზაშვილი

*** **ცხინვალის ხეობა.** **დაჯამაჯნებზე.** აგერა მაისს აქეთია, გამმიჯნავი (მეჟევაია) კომისია მუშაობს ცხინვალის საბოქაულოში და მიჯნავს თავად მაჩაბლების მამულებს. მიწების გამიჯვნის სურვილი დიდიხანია ჰქონდათ და კიდევაც შეუსრულდათ თ. მაჩაბლებს, მაგრამ, სამწუხაროდ, მომიჯნავები მორიგებულან ისე შინაურულად, რომ მამულები სადაოთ არ დარჩენიათ. რასაკვირველია, ეხლა მაჩაბლები ერთმანეთს უნდა ედავნენ ბოლო მოუღებლივ ⁊ ამ დავაში თუ კიდევ ცოტაოდენი დარჩათ რამე, უნდა დააგირაონ თავიანთი საკუთრებაც და სადაო მამულებს ზედ წაავლისონ. განა უკეთესი არ იქნება, რომ ერთმანეთში შინაურულად გაათავონ საქმეები, სადავო აღარაფერი დარჩეთ და ყველამ იცოდეს, რომ ესა და ეს მამული მისი საკუთრებაა? მაშინ ყველანი თავის მამულს რიგიანად შეიმუშავებს და შემოსავალიც გაუმჯობესდება, თორემ კაცის კვლად და ჩხუბი არ მოისპობა მათ შორის, როგორც ამ ორი დღის წინად იყო. კინაღამ სახელმწიფო გლეხებმა ერთის მხრით, და საბატონო გლეხებმა, მეორე მხრით ერთ მანეთი დახოცეს, ისევ თ. მაჩაბლებს რომ დაეშოშმინებინათ აღელვებული ხალხი. მადლობა ღმერთსა, რომ თ. მაჩაბლებში არიან მშვიდობის მოყვარენიც და ხალხს ერთმანეთს არ ახოცინებენ.

მართალაძე

*** **სამეგრელო.** **ქორწილ-ქელეხობა.** დადგა შემოდგომა ეს მახარებელ-გამაცოცხლებელი დრო ჩვენის ხალხისა. ამ დროს მეგრელი ხარობს და სიცოცხლით ივსება, ყადგანაც ცოტაა თუ ბევრი წლის სარჩო მოიტანა ოჯახში და მიუჩინა თავის ადგილი. სწორედ ამ დროიდან იწყება სეზონი ქორწილ-ქელეხობისა. იშვიათა იქნება ისეთი ოჯახი რომ სამი თუ ოთხი საქორწილო ბარათი არ მიუვიდეს—ზოგი კი ათობით და ოცობით მიიღებს ამ გვარს ბარათებსა: „მაქვს ქორწილი, მომყავს მეუღლე ჩემი ეს და ეს გთხოვთ მობრძანებითა თქვენითა განამხიარულოთ ოჯახი ჩემი ამა და ამა თვის რიცხვში—“ო, კეთილი და პატიოსანი! ვისაც კაკალი აქვს და ჯიბაში თაგვები არ ეთამაშება, ის რასაკვირველია კიდეც მიდის და ეწევა მხიარულებაში, მაგრამ ვინც კი მოკლებულია კაკალს, იმან რაღა ქმნას? მან უნდა ისესხოს სარგებლით სადმე, რათა არ ჩამორჩეს სხვებს. ამით, რასაკვირველია, სტუმარი და მასპინძელიც ვალ-ვახში ვარდება. ამ გვარივეა აგრეთვე ტირილიცა, ქელეხ-ალაპი და სხვა... მეგრელს უქორწილოდ ქალის შერთვა დიდ სირცხვილად მიაჩნია. რაც გინდა ღარიბი იყოს, მაინც 50—100 კაცამდი ეყოლება, რომლებსაც კარგად უნდა გაუმასპინძლდეს. ამდენი ხალხის გამოკვება და ისიც ლხინში, რა თქმა უნდა ავალიანებს კაცსა. ესეც ცხადია, რომ ამ გვარ დროში იშვიათად ჩაივლის ქორწილი, კაცი არ დამახინჯდეს ჩხუბში. ბევრი სიცოცხლით სავსე ადამიანი გამოსალმებია წუთი-სოფელს ქორწილის დროს. ნეტავ, როდის ველირსებით, უჩხუბრად ქორწილს?..

ტელეფონი

*** **დაღისტანი** **პირველი ახალი მატარებელი.** დღეს 25 ოქტომბერს დილის ექვს საათზედ პირველათ გავიდა პეტროვსკიდან—დარუბონდს სახალხო მატარებელი—დარუბონდას რომ მიუახლოვდა უკანასკნელ სადგურ „მამედ-კალაში“ მატარებელი ფოთლებისა და ყვავილებისაგან გაკეთებულ გვირგვინებით შეამკეს. მშვენიერი სანახავი იყო მთელი მატარებელი—მრავალის მგზავრებით – როცა მიჰქროდა მთის ფერდოებზედ ხელათ გამოჭრილს გზაზედ დარუბანდის მცხოვრებთ აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა. აი მატარებელიც გამოჩნდა ქშენვა-სტვენითა—და აფანცქალდა გული დარუბანდელებისა—სადგურზედ ტევა არ იყო. ყველა ცდილობდა რაც შეიძლება ბევრი რამ ენახა. უფროს ინჟინერთ და წარჩინებულ პირთ—დარუბნდელ საზოგადოებამ სადილი გაუმართა—კლუბში და დიდი ავან-ჩავანობა გამოიჩინა. ღმერთმა ინებოს, რომ დარუბანდელებს დღევანდელი სიხარული ამაოდ არ დაურჩეთ და რკინის გზას მათთვის სარგებლობა მოეტანოს.

**სადგურების უქონლობა.** რკინის გზა დარუბონდამდის კი ჩავიდა მაგრამ ჯერ არც ერთი სადგური არ არის გათავებული—და სადგურ მამედ-კოლა რომ დაწყობილი არცკია. საზოგადოდ აქეთ მუშაობა მეტის მეტათ მძიმე ნაბიჯით მიდის—ციების გამო ციება! აქ რომ ციება სცოდნია ღმერთმა დაიფაროს ყოველი კუთხე ქვეყნისა. გვეგონა – ზაფხული გავიდა და შემოდგომაზე ციება შემცირდებაო, მაგრამ უფრო იმატა და იმედიც უნდა ვიქონიოთ ბევრსაც იმსხვერპლებს ხოლმე. ვერავის შეხვდებით, რომ ადამიანის ფერი ედოს—გაუდით ყვითელ ქარვასებრ ღავღავი, ყველგან კვნესა, ჩივილი და ვაივუი გულ საკლავათ გაისმის. აქ რამდენიმე ქართველი მუშა იყო და კარგადაც მუშაობდნენ, მაგრამ ციება მათაც შეეჩვია, გაუსო ხელი და ძლივს ცოცხლებმა დაახწიეს თავი.

ვინმე ტეხნიკოსი

**მადლობის გამოცხადება.** ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ, თქვენი გაზეთის საშუალებით უგულითადესი მადლობა გამოუცხადოთ ჯუმათის სად. უფროსს ბ. ფ. გაბუნიას, რომელმაც კეთილ ინება და ხაჯალიის დარიბ სამრევლო სკოლის დარიბ მოსწავლეებს შეეწია სხვა და სხვა სასწავლო ნივთებით; აგრეთვე სკოლას შესწირა ბევრი სხვა და სხვა წიგნები: მოსე მწერალი, მოთხრობა ნინოშვილისა დირ. 20 კ., სამ გვარი სიგელი—ფასი (რადგან ზოგიერთ ამ წიგნთაგანს ის გვერდები აკლია, რომელზედაც ფასი და ავტორის ვინაობაც უნდა ეწეროს, ამიტომ მეც უფასოდ ვწერ) საუცხოვო ნიმუშები ნ. ნიკოლაძისა, ლიტერატურული ნაწარმოებისა, გამოცემა „ქართველი მკითხველისა“ დ. 75 კ., თამარ ბატონიშვილი დრამა კ. მესხისა. ორი მოთხრობა ე. ნინოშვილისა—10 კ., ჩვენი დროის ეროვნება თარგმანი დ. კალ—ლისა—10 კ., ანუკა ბატონიშვილი, ისტორიული მოთხრობა გრ. რჩეულოვისა—10 კ., თევდორე მღვდელი, ისტორიული ამბავი თომასონ კობასი,—ყაზბეგის თხზულება, ტომი II-რე—1 მ. 20 კ., საბერძნეთის ბრძენი დიოგენი თარგ. გ. მარკალიტაძისა—10 კ., ლექსთა კრება მჭედლის ბოჭორიშვილისა—5 კ., ხოპის მონასტერი და მისი ისტორიული წყარო მ. მ. კალისტრატესი,—ბუნების სარკე და მრისხანე მოვლენები თარ. სევ. ჯუღელისა—15 კ., ვაი მართალთა თხზ. ან. ფურცელაძისა, ვილჰელმ ტელი შილლერიდან ი. სანებლიძისა – 15 კ., ოქროს მოყვარულები თარგ. ელ. წერეთლისა—15 კ., რჩეული ლექსები ცახელისა—10 კ., ორი ეტიუდი ნ. რუბაკინი—20 კ., ყაჩაღი, მოთხრობა თ. ხუსკივაძისა—10 კ., სოფლის კუნწულა დ. მაჩხანელისა—20., თხზულება ი- დავითაშვილისა – 80 კ., როგორ საზრდოებს მცენარე ს. გ—ისა—25 კ., როგორ ცხოვრობდნენ ადამიანები ძველად თარ. ის. კვიცარიძისა—25 კ., ბუნება და ცხოვრება ილია ალხაზიშვილისა—60 კ., თხზულება აკაკის I ტომი—1 მ., ლიჰნარდი და გერტრუდა ზ. ედილისა—20 კ., გურგენ რაინდი, ლეგენდა ცახელისა – 30 კ. იმედია მიჰბაძავს სხვა ასეთ კეთილ საქმეს და თანაუგრძნობს ჩვენ დარიბ სკოლას, (რადგან ცალი ფეხით ცალფა ხიდზედ არ გაივლება!?), რომლის კედლებიდგან და ჭერიდგან თეთრ წვერა ბებრუხანა ძალიან გვემუქრება თავისი შეუბრალებელი თვალებით.

ხაჯალიის სამრევლო სკოლის მასწავლებელი იოსებ უშვერიძე

## რედაქციისაგან

**ზესტაფონში** სეფის კვირელს. თქვენი განმარტება არასფერს არ მარტავს გარდა ჭირვეულობისა და მიტომ ვერ იბეჭდება; რაც შეეხება იმას, თუ რას «იფიქრებთ» თქვენ, ეგ თქვენი საქმეა, თქვენს და თქვენი მოკამათის დავას ადგილი არ აქვს გაზეთში.

## სხვა-და-სხვა ამბავი

**სპარსელების სამკურნალო წამალი.** სპარსელებს ძველად ჩვეულებათ ჰქონიათ ცრემლების მოგროვება და იმისი საშუალებით სხეულთა კანკურნება. ამ ჩვეულებისთვის დღესაც თავი არ დაუნებებიათ. მეტათ საინტერესოა, როცა სპარსელები ცრემლებს აგროვებენ. როცა მოკვდება ვინმე, ჭირისუფლები შეუდგებიან თავში ცა-

მას და ტირილს; ამ დროს ყველა ჭირისუფალს დრუბლებს ჩამოუტარებენ და ცრემლიან თვალებს მოსწმენდენ. შემდეგ ცრემლით გაჟღენთილს დრუბელს გამოსწურავენ და ისე ხმარობენ ყველა სნეულობის მოსარჩენათ, როგორც იშვიათს და საუკეთესო სამკურნალო წამალს.

—

ბოშების სამშობლო. როგორც სტატისტიკური ცნობებიდან სჩანს, ბოშების სამშობლო ინდოეთის სამხრეთ-დასავლეთის მხარეს უნდა იყოს, რადგანაც ბოშების ლაპარაკი და ზნე-ჩვეულება ძალიან წააგავს ინდოელებისას. თუ როდის გადმოსახლდნენ ბოშები ინდოეთიდგან, ამისი არავითარი ცნობები არ არის. ჩვენში კი ბოშები XV საუკუნეში გადმოვიდნენ. ბოშები ამ უკანასკნელ დროში ცოტა არ იყოს ბინადრობას ეკიდებიან. ბოშების უმთავრეს საქმეს ცხენების ვაჭრობა შეადგენს, აგრეთვე აკეთებენ ლურსმნებს, ნალებს და მესაცრობასაც მისდევენ. დღეს ევროპაში 700,000 ბოშა სცხოვრობს, აქედგან ოსმალეთში 500,000 კაცი ირიცხება, ავსტრო-უნგრეთში 80,000 კაცი და რუსეთში 100,000 კაცი.

## ყურმოკრული საუბარი

ერთს შემოდგომის დღეს ქალ-ვაჟი მწვანეზედ ისხდნენ. ამ დროს აკაკიმ გაიარა და აკაკის ჭაღარას დასცინეს.

— სჩანს მთაში თოვლი მოსულაო

და ქალმა და ვაჟმა გადიხარხარეს

აკაკიმ ყური მოჰკრა და უპასუხა:

— მართალსა ბრძანებთ, ეს იმით უფრო აიხსნება, რომ ვირები ძირს ჩამოსულან მწვანეზედ და გორაობენო.

—

— ეს პეტრე საშინელი უზრდელი კაცია!

— როგორ?

— თუ არ თხოვე, ისე არაფერს გაგიგონებს.

— ვითომ?

— მაშ! მეტი გინდა — სამიკიტნოდანაც კი არ გამოდის უთხოვნელად!

# დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

28 ოქტომბერი

**პეტერბურგი.** ჭირის საწინააღმდეგოდ დაარსებული კომისია აცხადებს: ინდოეთს, ბომბეის საპრეზიდენტოში, ჭირის მძვინვარება მცირედ შეიცვალა 1-დგან 7 ოქტომბრამდე. ავად გამხდართა რიცხვმა 212-ით იკლო წარსულ კვირასთან შედარებით.

**იალტა.** 27 ოქტომბერს აქ ოსმალეთის საგანგებო საელჩო მოვიდა. მე-14 მსროლელთა ბატალიონისაგან საპატიო დარაჯი დახვდა; დაუკრეს ოსმალეთის საერო საგალობელი. დახვდნენ აგრეთვე თავრიზის გუბერნატორი და სხვანი.

**ათინა.** სამინისტრომ თანამდებობას თავი დაანება.

**პარიზი.** როგორცა სჩანს, პალატებს განზრახვა აქვთ თავიდან აიცილონ ხანგრძლივი კამათი ფაშოდას შესახებ. გაზეთები ურჩევენ თავის შეკავებას, რადგან სხვაფრივ მოქმედება გაამწვავებს საქმეს და განაახლებს უთანხმოებასაო. გაზეთები იმას არა ჰფიქრობენ, რომ ინგლისის დემონსტრაციები მხოლოდ საფრანგეთის წინააღმდეგ იყოს მიმართული; ამ დემონსტრაციებს აზრად მთელის ევროპის შეშინება აქვთ.

**დამასკი.** იმპერატორი და იმპერატრიცა მოვიდნენ აქა.

**პარიზი.** „ტემპს“-ი ამტკიცებს, რომ მოუხერხებელია ფაშოდის დაჭერა ჯარით ქაირისა ანუ აბაშეთიდანაო. გაზეთი სწერს, რომ ერთად-ერთი ჯარის წარსამართი გზა ამ ადგილისაკენ ხართუმ-ბერბერსაუკიმით მიდისო.

# ნიხრი

გამომცხვარი პურისა ამა 1898 წ. 20 ოქტომბრიდან, ვიდრე შეიცვლებოდეს.

ა) ფურნის პური

1-ლის ხარისხისა, გამომცხვ. რუსეთის ფქვილ. გირვ. $4\frac{1}{2}$ კ.

მეორე ხარისხისა, გამომცხვ. ნახევრად რუსეთის ფქვილ. და ნახევრად ადგილ. გირ. $3\frac{3}{4}$ კ.

მესამე ხარის., გამომცხ. საუკეთესო ადგილობ. ფქვ. — $3\frac{1}{4}$ კ.

ბ) თონის პური

1-ლი ხარისხის ჯვარის-მამის პური, 1 გირვანქა . . 5 კ.

მეორე ხარისხისა, გამომცხვ. ნახევრად რუსეთის და ნახევრად ადგილ. ფქვილ. $4\frac{1}{4}$ „

მესამე ხარისხ., გამომც. საუკეთესო ადგილ. ფქვილ. $3\frac{3}{4}$ „

გ) ლავაში

პირველი ხარისხისა, ჯვარის-მამის ლავაში, გირვანქა $6\frac{1}{2}$ „

მეორე ხარ., თათრული ლავაში, საუკეთესო ადგ. ფქვ. $3\frac{3}{4}$ „

—

1898 წ. 29 ოქტომბრამდე, ვიდრე შეიცვლებოდეს

ძროხის ხორცი 1 ხარისხისა უძვალესკოთ . . . $6\frac{1}{2}$ კ.

სუკი 1 გირვანქა . . . 12 —

ცხვრის ხორცი უძვალესკო $7\frac{1}{2}$ —

# რკინის გზის მიმოსვლა

ბათომიდან ბაქომდე

| | № 2 გადის | № 4 გადის |
|---|---|---|
| | დილით | საღამ. |
| ბათომი . . | 8.30 | 8.40 |
| სამტრედია . | 11.48 | 12.32 |
| რიონი . . | 12.46 | 1.44 |
| ყვირილა . . | 1.44 | 2.52 |
| შორაპანი . . | 1.55 | 3.07 |
| მიხაილოვი . | 5.12 | 6.12 |
| გორი . . . | 6.28 | 7.31 |
| მცხეთა . . | 7.57 | 9.11 |
| ტფილისი . . | 9.15 | 11.20 |
| აღსტაფა . . | 12.01 | 2.50 |
| ელისავეტოპოლი | 3.02 | 6.22 |
| ევლახი . | 5.00 | 8.41 |
| აჯიქაბული . . | 9.30 | 1.48 |
| ბაქო . . . | მოდ 12.59 | 5.42 |

ბაქოდან ბათომამდე

| | № 1 გადის | № 3 გადის |
|---|---|---|
| | დღისით | საღამ. |
| ბაქო . . . | 4.15 | 10.50 |
| აჯიქაბული . . | 7.55 | 2.42 |
| ევლახი . . | 12.25 | 7.49 |
| ელისავეტოპოლი | 2.50 | 10.28 |
| აღსტაფა . . | 5.44 | 1.54 |
| ტფილისი . . | 9.20 | 6.10 |
| მცხეთა . . | 10.01 | 7.06 |
| გორი . . . | 11.42 | 8.55 |
| მიხაილოვი . | 1.06 | 10.29 |
| შორაპანი . . | 3.40 | 1.08 |
| ყვირილა . . | 3.58 | 1.26 |
| რიონი . . . | 4.57 | 2.32 |
| სამტრედია . | 5.55 | 3.55 |
| ბათომი . . | მოდ 8.52 | 7.00 |

ტფილისიდან ბორჯომამდე

| | გადის № 5 |
|---|---|
| | დღისით |
| ტფილისი . . | 3.10 |
| მცხეთა . . . | 3.58 |
| გორი . . . . | 5.49 |
| მიხაილოვი . . | 7.20 |
| ბორჯომი . . . | მოდ. 8.30 |

ბორჯომიდან ტფილისამდე

| | გადის № 6 |
|---|---|
| | ღამით |
| ბორჯომი . . . | 3.25 |
| მიხაილოვი . | 4.55 |
| გორი . . . . | 6.08 |
| მცხეთა . . . | 7.39 |
| ტფილისი . . | მოდ. 8.15 |

სამტრედიიდან ფოთამდე

| | № 15 გადის | № 17 გადის | № 19 გადის |
|---|---|---|---|
| სამტრედია . | 4.40 | 11.55 | 7.30 |
| აბაშა . . | 5.12 | 12.27 | 7.59 |
| ახალ-სენაკი . | 5.50 | 1.10 | 8.32 |
| ზუგდიდი . | 6.55 | 2.13 | 9.33 |
| ფოთი . . | მ. 7.30 | 2.50 | 10.08 |

ფოთიდან სამტრედიამდე

| | № 14 გადის | № 16 გადის | № 18 გადის |
|---|---|---|---|
| ფოთი . . | 11.45 | 6.15 | 8.55 |
| ზუგდიდი . | 12 30 | 6.58 | 9.35 |
| ახალ-სენაკი , | 1.40 | 8.00 | 10.35 |
| აბაშა . . | 2.15 | 8.30 | 11.05 |
| სამტრედია . | მ. 2.42 | 8.55 | 11.30 |


ОТКРЫТА ПОДПИСКА

**Годъ второй.** на **1899** годъ **Годъ второй.**

*на еженедѣльную литературно-политическую и научно-популярную газету*

## „РОССІЯ И АЗІЯ“

(Подписной годъ съ 1 Ноября 1898 г. по 1 Ноября 1898 г.)

Годовая цѣна безъ доставки **5 руб.**, съ доставкой и пересылкой—**6 руб.**, заграницу **7 руб.**, за полгода безъ доставки **3 руб.**, съ доставкой и пересылкой **4 руб.**, заграницу—**5 руб.** Допускается разсрочка для годовыхъ подписчиковъ по 3 руб. въ два срока, или по 2 руб. въ три.

Адресъ Редакціи: *КІЕВЪ. Паньковская, д.* **№** *12.*

Газета дастъ въ теченіе года: 1) 50 номеровъ «Научно-литературнаго отдѣла», посвященнаго Востоку, еврейству, инородцамъ, **Кавказу**, Туркестану и Сибири и 3) 4 книги приложеній подъ названіемъ „Альманахъ Россіи и Азіи», въ которои войдутъ;

I. **Арменія**. Сборникъ статей различныхъ Русскихъ и иностранныхъ авторовъ объ Арменіи, ея исторіи, литературѣ, отрывки изъ произведеніи Армянскихъ писателей.

II. **Спиноза.** Біографія и лучшія произведенія знаменитаго Еврейскаго философа-пантеиста съ критическимъ комментаріемъ.

III. I томъ «Полнаго Собранія сочинении» знаменитаго романиста Георга Еберса, автора романовъ «Дочъ Египетскаго царя», «Императоръ» и пр.

IV. **Моріеръ.** Мирза Хаджи-Баба Исфагани. Новый переводъ съ Англійскаго по порученію Редакціи. (Эта книга была переведена въ сороковыхъ годахъ Барономъ Брамбеусомъ и представляетъ изъ себя романъ, состоящій изъ забавныхъ, юмористическихъ сценъ изъ жизни Востока вродѣ Жильблаза Лесажа),

Всѣ годовые подписчики „Россіи и Азіи“ за прошлый годъ будутъ получать изданіе цѣлый годъ БЕЗПЛАТНО. Оставшіеся экземпляры „Россіи и Азіи“ за прошлый годъ новые подписчики могутъ получить за 3 руб.

Объявленія—10 коп. строка корпуса.

(7—3) Редакторъ-издатель прив. доц. **А. Н. Гренъ.**


Дозволено цензурою. Тифлисъ, 28 Октября 1898 г. სტ. „ცნ. ფურც.“ (ვ. ვუნიასი), რედაქტორ-გამომცემელი [illegible]